# სახალხო გაზეთი

№ 666 პარასკევი, 3 აგვისტო, 1912 წ. № 666

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ავტორის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ. № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური სააოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრძელი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

**სახ. გაზ. კანტორა.**


**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ მატარებელი განსვენებულის პროფესორის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის ნეშტით მოვა ტფილისში პარასკევს, 3 აგვისტოს, დილის 8 საათზე. სადგურიდან, მცირე პანაშვიდის შემდეგ, **წამოასვენებენ ქაშვეთის ეკლესიაში.** შაბათს, საღამოს 8 საათზე, პანაშვიდი. კვირას წირვა და ანდერძი ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბეში.

განსვენებულის ნეშტს შეხვდება გორის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ანტონი და ტფილისის სამღვდელოება. წირვა დაიწყება დილის 8 საათზე, ცხედარის გასვენება დიდუბეში დილის 11 საათზე. (1.1404.1)

---

**დარია სოლომონის ასული** და **მიხეილ ხარიტონის ძე ინაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამარაში გარდაიცვალა პირველისა ძმა და მეორისა ცოლის ძმა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი და მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

## ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი

რომლის ნეშტსაც დღეს, პარასკევს, 3 აგვისტოს, დილის მატარებლით 8 ს. 40 წ. მოასვენებენ ტფილისის სადგურზე. (1.585.1)

---

**კნეინა ნინო ოტიას ასული, თავადის ასულნი თამარ** და **ქეთევან ნაკაშიძენი,** ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე, მეორეთა—საყვარელი მამა

## ნესტორ კონსტანტინეს ძე თ-დი ნაკაშიძე.

დასაფლავება დანიშნულია **ოზურგეთში**, შაბათს, 4 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე. (1.1414.1)

---

ქვრივი **სოფიო დიმიტრის ასული,** შვილები: **ივანე, ნადეჟდა და შალვა დოდაშვილები** აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უეცრად გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი ქმრის და მეორენი საყვარელი მამის

## დავით ადამის ძის დოდაშვილისას.

პანაშვიდი დღეს, პარასკევს, 3 აგვისტოს, დილის 1 საათზე და საღამოს რვა საათზე თავის საკუთარ სახლში. გამოსვენება და დაკრძალვა შაბათს, 4 აგვისტოს დილის რვა საათზე, საკუთარი სახლიდან (ჩერქეზიშვილის ქ., 113) წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1.5856.1)

---

**გიორგი პეტრეს ძე, ნინა გრიგორის ასული, პეტრე ოქროს ძე, ვასილი, ალექსანდრე და ვახტანგ ლეონიძენი,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი ორი—საყვარელ შვილისას, მესამე—შვილი-შვილისას და დანარჩენნი—ძმისას **ტფილ. მეორე გიმნაზ. მე-2 კლ. მოწაფის**

## ილუშასას.

პანაშვიდი დღეს, 7 ნახ. საათზე, ცხედრის გამოსვენება 3 აგვისტოს, 1 საათზე, ანდრონიკოვის ქ., № 10, ტფ. სადგურზე, საიდანაც 3 ს. წაასვენებენ სოფ. სასირეთში. დაკრძალვა შაბათს, 4 აგვისტოს. (1.584.1)

---

**ელენე დავითის ასული** და **მღვდელი ვასილ ხახიშვილები,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, პირველი საყვარელი მამის, ხოლო მეორე დაუვიწყარ სიმამრის

## დავით ადამის ძის დოდაშვილისას.

პანაშვიდი დღეს, პარასკევს, 3 აგვისტოს, დილის 1 საათზე და საღამოს რვა საათზე თავის საკუთარ სახლში. გამოსვენება და დაკრძალვა შაბათს, 4 აგვისტოს დილის რვა საათზე, საკუთარ სახლიდან (ჩერქეზიშვილის ქ., № 113) წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1.586.1)

---


იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად

## ჩემი სიმღერა

რჩეული ლექსები **გ. ახოსპირელისა.** ფასი ორი შაური.

გამომცემელი ი. ალხანაშვილი. (3.1412.3)

---

გამოსულია და იყიდება

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

---

## ახალი კლუბი

შაბათს, 4-ს აგვისტოს

## საოჯახო საღამო

საზაფხულო თეატრის სცენაზე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივი, თეატრში—70-დან 20 კაპიკამდე.—წარმოდგენის შემდეგ „ცეკვა“. (2—1392—1)

---

## დაბა ბორჯომი

შაბათს, 4 მარ ამოჰისთვეს, ტფ. ქართულ დრამატიულ დასის მსახიობების: პ. შოთაძის ასულის, ი. ზარდალიშვილისა და მგოსნის ი. გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება ორიგინალური იუმორისტიული წარმოდგენა და

**საღამო მეჯლისი** ოთხ განყოფილებად:

I. **უბედური დებიუტი** ვოდევილი 1 მოქმედებად.
II. **სალიტერატურო განყოფილება** ი. გრიშაშვილის მონაწილეობით
III. **ვაი ყოზოს** ფარსი 1 მოქმედებად.
IV. **ლექსები, ებრაული და კინტოური სცენები და სხ.**

**შემოსავლის 50⁰/₀ პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს სასარგებლოდ გადაიდება.** დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია. (2.1420.1)

---

შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10⁰/₀ დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**

| | |
|---|---|
| **ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** | **თელავში—თამარ აბაშიძესთან.** |
| **სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან.** | **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.** |
| **სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** | **ბაქოში—ილია აგლაძესთან.** |
| **სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** | **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.** |
| **ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** | **ერევანში--ელენე ვირსალაძესთან** |

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან. ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

---

## თ. მთავრიშვილისა

და **ამხ. წიგნის მაღაზია** ქუთაისში

ამ წლის აგვისტოს

**15-დან გადადის**

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8,1416.1)

---

## საკანცელარიო მაღაზია

## დ. და კ. ოცხელებისა,

ქუთაისში,

ამა წლის აგვისტოს

**15-დან გადადის**

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1415.1)

---

**დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად**

## თ. მთავრიშვილისა

და **ამხ.** წიგნის მაღაზიის

## ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაქიძის მიერ, ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზი.
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაური.

(8.1417.1)

---

## თ. მთავრიშვილისა

და **ამხ. წიგნის** მაღაზია

ქუთაისში

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძის**

## „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

**ტომი მეორე.** აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღებული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას. (8.1418.1)


---

## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა

| | |
|---|---|
| დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში მარიამობისთვის | 20, |
| „ 1 და 2 „ „ | 23, |
| „ მოსამზადებელ განყოფილებებში „ | 25, |
| მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში „ | 25. |

სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის 1911/12 წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. **გიმნაზიის კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით დილის 10—1 საათამდე.** (9—1384—9)

---

## განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობისა,

**სასანიტარო ნაწილის სავალდებულო დადგენილებათა** მე-3 მუხლში, რომელიც ტფილისის გუბერნატორმა გაზ. „კავკაზში“ 1909 წ. 25 აპრილს დაიბეჭდა, ნათქვამია: „ამა წესების გამოქვეყნებიდან ორი წლის განმავლობაში, ყველა სახლებში ეზოები უნდა მოჰფინონ ქვით, ცემენტით ან ასფალტით, იმ ადგილების გარდა, რომელიც ბაღისა ან ყვავილების გასაშენებლად აქვთ და აგრეთვე ცარიელი ადგილებისა. ასეთი ცარიელი ადგილები უნდა შემოღობონ ან ფიცრულით ან ქვათკირის გალავნით და მუდამ სუფთად იქონიონ.

რადგანაც ზემო აღნიშნული ვადა უკვე გავიდა, ქალაქის გამგეობა სთხოვს, სახლის პატრონებს, ვისაც ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნილება არ შეუსრულებიათ, გაისარჯნენ, და **1 აგვისტოდან დაწყებული ერთი თვის განმავლობაში შეასრულონ ეს მოთხოვნილებანი;** ამასთანავე ვაფრთხილებთ, რომ ვინც ამ მოთხოვნილების ასრულებას მოერიდება, პასუხისგებაში მიეცემიან. (3.1410.2)

---

## განცხადება. ტფილისის სამაზრო სამმართველო

ამით საყოველთაოდ აცხადებს,

რომ 1907 წ. 3 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებათა მიხედვით, სათათბიროს საარჩევნო სიებში შესატან პირთ, რომელთაც დებულებათა მე-10 და მე-11 მუხლის ძალით, უფლება აქვთ მემამულეთა კრებებზე მიიღონ მონაწილეობა, იმავე დებულებათა მე-18 მუხლის ძალით, მოთავსებულ იქნებიან 3 აგვისტოს გამოკიდებულ სიაში სამაზრო სამმართველოს სადგომში, რათა დაინტერესებულ პირთ შეეძლოთ ყოველ დღე გადაათვალიერონ დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე. ამასთანავე დაინტერესებულ პირთ

**ორი კვირის განმავლობაში 3-17 აგვისტომდე**

1912 წ. შეუძლიანთ განასაჩივრონ და განცხადება შეიტანონ სიების უწესოდ შედგენისა და უსრულესობის თაობაზე ტფილისის სამაზრო საარჩევნო კომისიაში. (1.1419.1)

---


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღლაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქ. ავ. (ქირურგ.) | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირაძლოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო ქალ. სნეულებ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაძლოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურის, ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (ც. 1010.85)

## ტფილისის საქალაქო პროგიმნაზია
## ავლაბარში

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 1 სექტემბრიდან იხსნება სამი მოსამზადებელი კლასი—საანბანო, უმცროსი და უფროსი—და პირველი კლასის თხოვნები და საბუთები მიიღება **20 აგვისტომდე** დილის 10 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდე, პროგიმნაზიის შენობაში, როზოვის მოედანი, სახლი № 7. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 40 მანეთი, დანარჩენებში—50 მან. წელიწადში. თუ მოწაფეთა საკმაო რიცხვი შეიკრიბა, მე-2 კლასიც გაიხსნება.
(2.1414.1)

### საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იეანეს ძე **თაქთაქიშვილს;** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 354)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფებისთვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბობოხიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-**
(ლ—1018—47.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ. სვანიშვილისა.

**ექიმი ს. ი. გძელიშვილი**
შინაგანულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—1. საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, ა. გურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდან მოიკვეთ), № 21, ხომელაშვილის სახ. ი. დღ. ითი: 4—4 საათამდე ბარონისა და რუსთის ქუჩის კუთხე, № 14.
(0 411— 9)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყ. ყოვ.-დღე ნაშუადღ. 4—3 ს. საღამ. 6—8. ... კვირ. ... 8—9 ... ქუჩა, ... ს. კარტოზილისა

**ექიმი პ. არდაზიანი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (საკეიანლ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (ა.1045.169)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე) (თ.—1049—137)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, სადოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—76)

**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი**
იღებს ავადმყოფებს, აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.218)

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—36)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე**
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვათა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №


# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარეშემო.** გუშინდლამდე ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვა 183 ბინის დამქირავებელმა, რომელიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდის. დანარჩენს სიებში გუშინ არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

— დღეიდან ქალაქის მოედნებსა და თვალსაჩინო ქუჩებზე გამოჰკიდებენ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიებს.

✦ ტფ. გუბერნატორმა **წინადადება მისცა მაზრის უფროსებს,** ტფ. ქალაქის მოურავს და ტფილისის გუბერნიის ქალაქის მამასახლისებს, რათა გამოაქვეყნონ საარჩევნო სიები, არა უადრეს პირველისა და არა უგვიანეს რვა აგვისტოსი. თანაც დაუმატა რომ რაც შეიძლება საუკეთესოდ იყოს გამოქვეყნებული სიები. ის ადგილები სადაც, სიები იქნება გამოკრული, გამოქვეყნებული უნდა იქნეს ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში“ და სხვა ადგილობრივ ხალხში გავრცელებულ ორგანოებში და სხ.

✦ ტფ. გუბერნატორმა კავკასიის **სამოსწავლო ოლქის მზრუნველს** შესაფერ განკარგულების მოსახდენად გაუგზავნა ახალციხის ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილება, რომლითაც ისინი რუსეთის ერთერთ უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში აწესებენ ახალციხის მოქალაქის ბაგრატ სტეფანეს ძე პოზოევის სახელობის ქალაქის სტიპენდიას.

✦ ტფ. გუბერნიის **სახალხო სკოლების დირექტორმა** ტფ. გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად სოფ. ოროჯლარისა და ნიოხბერის (ახალქალაქის მაზრა), აგრედვე სოფ. ბრითაულის (გორის მაზრა) სასოფლო ყრილობათა დადგენილებანი, რომლითაც ისინი პირველ დაწყებით სკოლების გახსნას თხულობენ.

✦ ტფ. გუბერნატორმა **ქალაქის მოურავს აცნობა,** რომ კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ შესაძლოდ ვერა იცნო დაეკმაყოფილებინა მისი შუამდგომლობა მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებათა 5, 6 და 16 მუხლების გაუქმების შესახებ. და წინადადება მისცა კვლავ გადაათვალიერონ ეს წესები და ადგილობრივ პირობათა მოთხოვნილებას შეუთანხმონ. გუბერნატორმა თავის მხრით წინადადება მისცა თადრიგი მიიღონ და საჩქაროდ გადაათვალიერონ ეს დადგენილებანი კანონიერის გზით.

✦ **ტფ. პოლიცმეისტერმა** ტფ. გუბერნატორს მოხსენება წარუდგინა, რომ 1-დან 30 აგვისტომდე გაგრძელდება მაჰმადიანთა დღესასწაულის „რამაზანის“ დღეები, როდესაც ისინი მთელი დღის განმავლობაში არაფერს არ სჭამენ; მხოლოდ საღამოს 8 საათიდან მიიღებენ საჭმელს. რადგანაც წინა წლებშიაც „რამაზანის“ დროს ჩაიხანები და თათრების სამიკიტნოები ღია იყო საღამოს 7-დან დილის 4 საათამდე, პოლიცმეისტერი საჭიროდ სცნობს, ეს წესი ისევ შეუცვლელად დარჩეს და სთხოვს გუბერნატორს, თათრების სამიკიტნოებისა და ჩაიხანების შესახებ „რამაზანის“ განმავლობაში, სავალდებულო დადგენილებათ არა ჰქონდეთ ძალა.

✦ **„პეტერბურგის პსიხონევროლოგიურ ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა ექსკურსია** პროფ. დ. მ. ოდინეცის ხელმძღვანელობით გაბრუნდება უკან 25 მარიამობისთვეს. საექსკურსიო ფული (7 მან.) მიიღება მხოლოდ 16 მარიამობისთვემდე; ამ დღეს დაეგზავნება ყველას წერილობითი ცნობა თუ ვინ ისარგებლებს ექსკურსიით.

ფული მიიღება შემდეგის მისამართით: დ. ქიათურა. სოფ. დარკვეთი სტუდენტ ლევან ტარასის ძე ბაქრაძეს.

✦ ორშაბათს, 6 აგვისტოს, **ნაძალადევის თეატრის** ეზოში, გაიმართება **საბავშვო დღესასწაული** ბ-ნ სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. თეატრის დარბაზში ბავშვებს სინემოტოგრაფის სურათებს აჩვენებენ უფასოდ.

✦ გორის მაზრაში ცნობილმა მებაღემ **ს. ს. ხეთაგურმა** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აცნობა, რომ გორის მაზრის ბაღებში, სადაც ხეხილის სისტემატიური წამლობა იყო შემოღებული, ხილი ძლიერ ბლომადაა და კარგი ხარისხისაც. იმ ბაღებში კი, სადაც ხეხილს არ უწამლეს, ხილი ხარისხითაც ცუდია და მოსავალიც მცირეა.

✦ **ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო** განყოფილებამ ტფ. საბირჟო კომიტეტს სთხოვა, აცნობოს პრაგის სავაჭრო კამერას, რომელი გამხმარი ხეხილის გატანა შეიძლება უმთავრესად კავკასიიდან და ყირიმიდან. ეს ცნობები საჭიროა ბოჰემიაში რუსეთის ხეხილის გამგზან ორგანიზაციის მოსაწყობად.

✦ **რუსეთის მეხილეობის საზოგადოების** ამიერ კავკასიის განყოფილების მთავარი ინსტრუქტორი ბ. ბ. ბაგრამოვი აგვისტოს განმავლობაში, სოფ. ტყვიავში და ცხინვალში (გორის მაზრა) სექტემბერში კი ქ. ტფილისში მსურველთ აჩვენებს ხილის გახმობა-გაკეთებას. მას განზრახვა აქვს ხალხს ასწავლოს, როგორ უნდა, მოიხმარონ ხილი.

✦ ვაშინგტონის (ამერიკის შეერთებული შტატები) **მიწათმოქმედების დეპარტამენტმა** ტფ. საბოტანიკო ბაღის დირექტორს მიმართა თხოვნით, გაუგზავნოს კავკასიაში იონჯის ბალახის თესლი, რომელიც საჭიროა ამერიკის უწყლო ადგილებში დასათესად.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** 1 აგვისტოს, შტაბის ქუჩაზე, თავის სახლის კიბეებზე თავი ჩამოიღრჩო მეეზოვეს ცოლმა სათენიკა გრიგოლის ასულმა ნაზარიანცმა. მიზეზი არ იციან.

✦ **დაჭრა.** 1 აგვისტოს, ნაშუალამევის 2 საათზე, ტფილისის კრუჟოკში წალაპარაკენ კავკასიის საგრენადერო საარტილერიო ბრიგადის შტაბსკაპიტანი ივ. დ. ჩიჯავაძე და ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელე პ. ვ. ლუდევსკი. ივ. ჩიჯავაძემ ლუდევსკი რამდენსამე ადგილას ხმლით დასჭრა.

✦ კახეთის რკინის გზის კანტროლის გამგემ ტფ გუბერნატორს აცნობა, რომ უმაღლესი ბრძანებით იგი დანიშნულია ამ გზის უმთავრეს კანტროლიად, სახელმწიფო კანტროლიერის განკარგულებით კი მას დაევალა ზემოხსენებულ კანტროლის მოწყობა და გამგებლობა. ამის და მიხედვით, მან მოაწყო კახეთის რკ. გზის გაყვანის საქმის კანტროლი, და დაიწყო სარევიზიო მოქმედება. კანტროლი იმყოფება ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზე, სახ. № 77.

✦ ტფ. გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულ იქმნენ: გიორგი ქველიძე 25 მანეთით და ნიკოლოს ჯონგულოვი 50 მ., რადგან ჩაუწერელი თავიანთ ბინაზე გაათევიეს ღამე მცხოვრებს. თუ ჯარიმას არ გადიხდიან თითო თვე უნდა ჩასხდნენ ციხეში.

✦ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ ტფ. გუბერნატორს შესაფერ განკარგულებათა მოსახდენად, აცნობა, რომ ნამესტნიკის მოადგილემ, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებათა 160 მუხ. ძალით დაამტკიცა ახლად შედგენილი სია დუშეთის მაზრის საარჩევნო უბნებისა, საიდანაც უნდა აირჩიონ უბნების სასოფლო ყრილობების რწმუნებულნი.

✦ 1 აგვისტოს, ბორჯომიდან ტფილისს დაბრუნდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორი დეისტ. სტ.-სოვ. ა. ი. სლოვინსკი.

✦ **ფილოქსერასთან საბრძოლველად,** როგორც ვწერ,ეთ, ორი ჯგუფი შესდგა. პირველს ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს ინსტრუქტორი ბ-ნი მაქარაშვილი, 18 კაცია, ხოლო მეორეში, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს ინსტრუქტორი ი. იოსელიანი, 16 კაცია. ორივე ჯგუფი კახეთს 1 აგვისტოს აპირობდა წასვლას, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა, რადგანაც სამსახურის საქმეთა გამო ინსტრუქტორები მაქარაშვილი და იოსელიანი კახეთში იმყოფებიან და ტფილისში დღე-დღეზე ჩამოვლენ. მათ ჩამოსვლისათანავე საფილოქსერო ჯგუფები კახეთს გაემგზავრებიან.

✦ 1 აგვისტოს ტფილისში 34 უპასპორტო შეიპყრეს.

### სასამართლო.

✦ **„სინათლის“ რედაქტორი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის** საქმის მესამედ განხილვა სამოსამართლო პალატაში დანიშნულია 18 ენკენისთვეს.

### რკინის გზაზე.

✦ **სად. ევლახი.** მატარებელ ქვეშ ჩავარდა ბუფეტში მოსამსახურე ჩვიდმეტი წლის **ალექსანდრე მირმანიშვილი,** მატარებელმა შუაზე გასწყვიტა. მიზეზი არ იციან. განსვენებული ამ დღეებში სახლში დაბრუნებას აპირებდა.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტის** უკანასკნელ კრებაზე დაადგინეს, მოაწყონ ქალაქის გამგეობასთან შეერთებული კრება, ქალაქის სასარგებლოდ საქონლის გადასახადის თაობაზე. გარდა ამისა, სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კომიტეტის წევრი, ა. ა. ენფიანჯიანცი, გაიგზავნოს ქ. ოდესაში, სადაც აგვისტოს შუა რიცხვებში სამხრეთ-რუსეთის ამომრჩეველთა კრება მოხდება.

### ბორჯომი

✦ სამშაბათს, 7 აგვისტოს ადგილობრივ პარკში გაიმართება საინტერესო **„საღამო-მეჯლისი“.**

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობ ა. შოთაძისა და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ორი მხიარული ვოდევილი: **„უბედური დებიუტი“** და „...“.

ამ საღამოს აგრედვე წაიკითხავს ლექციას ცნობილი ლექტორი **გრ. რობაქიძე** შემდეგს თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილის სულის კვეთება“.

დასასრულ გაიმართება სალიტერატურო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზდა მგოსნები ი. გრიშაშვილი ს. აბაშელი და სხვ.

ამ წარმოდგენის შემოსავლის ნახევარი გადიდება პეტერბურგის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ.

ასეთი საღამოები გაიმართება წაღვერში, ახალციხეში, აბასთუმანში და ბაკურიანში.

# ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

განსვენებულ პროფესორისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სოლომონის ძის ცხედარს ტფილისში მოასვენებენ დღეს, დილის 8 საათზე. რკინის გზის სადგურზე ცხედარს მიეგებებიან ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, ქალაქის სამღვდელოება და სხვა და სხვა საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენლნი. სადგურზე ეპისკოპოსი ანტონი სამღვდელოების მონაწილეობით მცირე პანაშვიდის გადიხდის განსვენებულის სულის მოსახსენებლად და ამის შემდეგ სამგლოვიარო პროცესია ვაგზლის ქუჩით, მიხეილის პროსპექტით და ვერის დაღმართით გოლოვინის პროსპექტზე გაივლის და ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მივა, სადაც განსვენებულის ცხედარს დაასვენებენ. ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი. ცხედარი ამ ეკლესიაში ესვენება კვირამდე, დასაფლავების დღემდე. პანაშვიდები ყოველ-საღამოობით გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში.

— უდროოდ გარდაცვალებულ **ალ. სოლ. ხახანაშვილის** ცხედარს კვირას, 5 აგვისტოს დასაფლავებენ. ამ დღეს, დილის რვა საათზე, წირვა დაიწყება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. მწირველი იქნება გორის ეპისკოპოსი ანტონი, ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით, წირვის შემდეგ მიცვალებულს ანდერძს აუგებენ და ცხედარს ეკლესიიდან გამოასვენებენ. პროცესია ლორის მელიქოვის ქუჩით გაემართება, გაივლის პუშკინის ბაღის გვერდით, ავა სასახლის ქუჩაზე და შეჩერდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის სადგომის წინ. აქ გადახდილი იქნება მცირე პანაშვიდი და შემდეგ პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტს და შეჩერდება ვერის დაღმართის დასაწყისში, სადაც კვლავ მცირე პანაშვიდი იქნება გადახდილი. აქედან პროცესია ერთხელვე მოდებულ მარშრუტით დიდუბის ეკლესიაში გაემართება. ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება მცირე პანაშვიდი და წარმოითქმის სიტყვები და შემდეგ განსვენებულის ცხედარს ეკლესიის გალავანში, იაკობ გოგებაშვილის საფლავის გვერდით, მიწას მიაბარებენ.

### სამძიმრის დეპეშები.

**ჭრებალო.** გული მოგვიკლა ძვირფას მეცნიერისა და მოღვაწე ხახანაშვილის დაკარგვამ.

აკაკი, დიასამიძე. მღ. კვიკვიძე, პოპიაძე, ჭელიძე, სოხაძე.

**პიატიგორსკი.** პიატიგორსკის საზაფხულო სამასწავლებლო კურსებზე დამსწრე ქართველი მასწავლებელნი უღრმეს მწუხარებას ვაცხადებთ ძვირფას პროფესორისა და თავის სამშობლოს ღირსეულ შვილის ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

**დიდი-ჯიხაიში.** სამშობლოს კეთილის მყოფელთა რიცხვს კიდევ მოაკლდა დაუვიწყარი მოღვაწე ალ. ხახანაშვილი. პანაშვიდი ვახდევინეთ. ვუერთდებით სამშობლო ქვეყნის საერთო მწუხარებას.

დიდ-ჯიხაიშის ინტელიგენცია.

**დონის-როსტოვი.** როსტოვის ქართველები შევხვდით ძვირფას და დაუვიწყარ მამულიშვილის პროფესორ ხახანაშვილის ცხედარს, შევამკეთ გვირგვინით, ვახდევინეთ პანაშვიდი. მატარებელი გამოვიდა 31 ივლისს, საღამოს შვიდ საათზე.

**სახაშვილი.**

**ბესლანი.** დღეს, 1 აგვისტოს, დიდძალი კავკაველი ქართველობა და სამღვდელობა სად. ბესლანზე მიეგება განსვენებულ და დაუვიწყარ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის ცხედარს. გადაიხადეს პანაშვიდი. მისი კუბო გვირგვინით შეამკეს. შვილევმა გადააფინა წასაფარებელი.

კავკავის განყოფილება
**წ. კ. გ. საზოგადოებისა**

**სახერე.** შორაპნის მაზრის თავადაზნაურობა ულრმესად სწუხს დაუღალავ საზოგადო მოღვაწის პროფესორ ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვის გამო.

შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი წერეთელი.**

**ქუთაისი.** ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვამ უზომოდ დაამწუხრა მთელი საზოგადოება. აღარა გვყავს საუკეთესო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენს ძვირფას მამულის საკულტურო საკითხთა გარკვევას შესწირა. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა დარწმუნებულია, რომ ალექსანდრე სოლომონის ძის მანათობელი სიცოცხლე, მისი დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობა საძირკვლად დაედება ჩვენი მოწინავე ხალხის მოღვაწეობას.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი მიქელაძე.**

**ცემი.** საყოველთაო გლოვას ჩვენი ულრმესი წუხილიც მიუმატეთ, უდროოდ დაკარგულ პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის დაკარგვის გამო.

მარიამ და იპოლიტე **ტატიშვილნი.**

**სიღნაღი.** დაუვიწყარ პროფესორ ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ. ჩვენს გულის წუხილს ქართველ ერის გლოვას ვუერთებთ.

**სიღნაღის ქართველობა.**

**ოზურგეთი.** ქართულ მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია. ვგლოვობთ უდროოდ დაკარგვას.

ერმილე რამიშვილი, ქსენია ჩხიძე, შუშანა და თამარ მინაბიძენი, სოლომონი და ვლადიმერ თოხაძე, ბახველი, მიქაძე, სვიმონ, ილია ქარცივაძე, სვიმონ ჟორჟოლიანი, ტატე მშვიდობაძე, ივანე არონიშიძე, ისიდორე კვანტალიანი გერასიმე ზოლქვაძე.

**კასპი.** მეცნიერებისათვის დაუცხრომელ მოღვაწისა და საქართველოს სახელოვან შვილის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ ფრიად დაგვაღონა. ჩვენს ხმას ვუერთებთ ერის მწუხარე მოთქმას. იგი მკვდარიც ცოცხლობს ჩვენს შორის.

კნეინა ანასტასია და თ-დი დიმიტრი ამილახვარნი, ნინო და გიორგი ჟორდანიანი, მღვ. თამარიძე, დავით ამილახვარი, ხიმშიაშვილი, გეორგაძე, ისკანდ როვი, ყულიევი, ანტონინა, ვახტანგი და გიგლა ქარუმიძენი

**პეტერბურგი.** ჯანღონით სავსე და მრავალ-ტანჯულ საქართველოს გულითად მოსიყვარულის, დაუცხრომელი მოღვაწე, მეცნიერ კავკასიის მცოდნე ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალებით გულ-მოკლული, ჩემს მწუხარებას გიზიარებთ.

დიოდიმე თოფურიძე.

**ცემი.** ს. ცემის მოაგარაკენი ულრმესად დაამწუხრა პროფესორ ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ. მისი სულის მოსახსენებლად დღეს ადგილობრივ ეკლესიაში პანაშვიდი ვახდევინეთ. აქ მყოფი საზოგადოება იზიარებს ქართველების გლოვას.

მონდობილობით ფიცხელაური.

**ცხინვალი.** დაუვიწყარ მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ხახანაშვილის დაკარგვამ გ... ლი დაგვწყვიტა. პანაშვიდი გადავ... ვინეთ ...

ანტონი, მარიამ, ..., ... ფურცელაძენი, ქეთევან და გიორგი ჟურუ... ნი, ნინო მაქარაშვილი, მღ. გვიმრაძე მ... ღლით. ნიკო, სოფიო, თამარ, ნინო, იუ... ნი ლომაურნი, ოლღა კოლიაშვილი, ელ... საბედ ჟურული, ვასილ ჟურული

**ქუთაისი.** ქუთაისის საურთიერთ... ნდობის ბანკის გამგეობა ქართვე... თა საყოველთაო გლოვას უერთე... თავის გულითად მწუხარებას, გამ... ჩენილ ქართველის პროფესორ ალ... ქსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალ... ბის გამო.

თავმჯდომარე **ერისთავი.**

**ნაოღალევი.** საქართველოს საუ... კეთესო შვილის პროფესორ ალ... ქსანდრე სოლომონის ძე ხახანაშ... ლის გარდაცვალებით გულდამწუხარ... ნაოღალევის საზოგადოებამ, მ... სულის მოსახსენებლად პანაშვი... ახდევინა. ჩვენს ულრმეს მწუხარებ... საყოველთაო გლოვის ხმას ვუე... თებთ.

ექიმი ჟორდანია, ფოსტის მოხელენი ... შალაური, შავგულაძე, ბერიძე, აბაშ... კვირაია, გაბისონია, ქაჯაია, მასწავლე... ლები: სულავა, ქუთათელაძე, ხარებაშ ი... გაბისონია; სტუდენტები: აბაშიძე, ნემსა... გეგელაშვილი, მგალობლიშვილი, მდივა... გაუზერელია, ბეკიძე, ედიშარია.

**ყვირილა.** საქართველოს სახელ... ვან შვილის პროფესორ და ჟურნ... ლისტ ალექსანდრე ხახანაშვილ... უდროოდ გარდაცვალებამ ულრმ... სად დაგვაღონა.

ჩხეიძე, ანთაძე, აბაშიძე, ჩოჩიაშვილი, ... ნეიშვილი, გოცაძე, წერეთელი, საყვარ... ლიძე, ელიაშვილი, გაჩეჩილაძე, კანდე...

## ა. ხახანაშვილს.

ძვირფასო მეგობარო!

იმ დროს, როდესაც ჩვენის ს... შობლოს ყოველის კუთხიდან გლ... ვა ისმის შენის უდროვოდ დაკარ... ვის გამო, შენი გულითადი მეგო... რი სდუმს...

ოც-და-შვიდი ივლისი ამ წლი... როდესაც შენი დაკარგვის ამბა... გაზეთით გავიგე, ისევე ღრმად, თუ... ცა სისხლის წვეთებით, აღიბეჭ... ჩემს უბედურს გულში, როგორ... ოცი ივლისი 1895 წლისა, როდეს... მე და შენ პირველად გავიცან... ერთმანეთი ჩვენის საერთო სათაყ... ნებელ მგოსნის სახლში საგურამო...

ჩვიდმეტი წელიწადია მას შემდ... მეგობარო, და ამ ხნის განმავლობ... ში ვერც სიშორემ და ვერც დრ... თა უკუღმართობამ ვერ შეასუს... ჩვენს შორის მტკიცე კავშირი მ... გობრობისა. წელიწადში, ან ო... წელიწადში ერთხელ თუ ვნახავდ... ერთმანეთს,—ან მე რუსეთს მოს... ლი, ან შენ—აქ. მაგრამ ყოველი ... რი, ყოველი საგანი ახალის შრომ... სა, სულის ყოველი მოძრაობა ჩვე... ცხადი იყო ერთმანეთისათვის. ჩვი... მეტი წელიწადი შენ იყავი ჩემი გ... მაჩვენებელი, ჩემი ზეშთაგონები... ძალა, მეგობარი უანგარო, ერთგ... ლი და მუდამ იმის მოწადინე, რ... „მტერი არ გამეხარებინა“. ჩვიდმე... წელიწადია გულით ვატარებთ ... წმიდა გრძნობას, რომელსაც პატ... ოსანი ადამიანები მეგობრობას ე... ხიან. ყოველს ზაფხულს სიხარულ... ველოდებოდი, რომ შენ ჩამოსულ... ყავ და მენახე, აღფრთოვანებულ... გეგებებოდი, ხოლო გულ-ჩაკლუ... ვიყავი მაშინ, თუ რომელსამე ზა... ხულს სამშობლოს მაგივრად საზ... ვარ-გარედ მოგიხდებოდა წასვლა.

დღეს კი მდუღარე ცრემლებ... გეგებები, მეგობარო!..

ნეტავი იმას, ვინც გიცნობდა ... როგორც მხოლოდ მეცნიერსა ... მოღვაწეს და არ იცნობდა შ... სულის ნაზს, მგრძნობიარეს, პატი... სანსა და სპეტაკს. მე ვიცნობდი შ... სულს, და ამიტომაც განუსაზღვრ... ლი არის ჩემი შენდამი მეგობრულ... ღრმა გრძნობა. ვიცნობდი შ... სულს, მშვენიერს, მოკრძალებულ... და ამასთან—ობოლს, მიუსაფარ... მწუხარეს...

„იქნება ამ ერთგვარმა ბედის ჩა... ხის ტრიალმა შეგაგნებინა ჩემი მ... უსვენარი მდგომარეობა და თა... გრძნობით ალგივსო გული ბედისგ... დაჩაგრულ კაცისადმი. სხვის მწუ... რებას ის გაიგებს, რომელსაც ... თონვე ხვედრია მწარე შოლტ... ცხოვრების მიმდინარეობისა“-... მწერდი შენ ერთს წერილში.

შენ მეცნიერი იყავი, მე კი—მგ... სანი, მაგრამ იმდენად ნაზი და მშ... ნიერი იყო შენი სული, რომ აღ... ლად გაიქცა ჩვენის მტკიცე მეგ... ბრობის ჯაჭვი...

იქნება ბევრი შეჰნატროდა კიდ... შენს ბედს?!. შენის სულის ობლ...

ბა კი იცოდა მხოლოდ შენმა მეგობარმა...

და ეს შენი მეგობარი დღეს სდუმს, სდუმს ისე, ვით მეხისაგან განადგურებული ტაძარი, სადაც შენის სულის წმიდა-წმიდის სავანე იყო. ქვად ვქცეულვარ და მხოლოდ ის-ღა ჰმოწმობს ჩემს კიდევ-ღა არსებობას, რომ გულ-ამოსკვნით დავქვითინებ გაზეთის ფურცლებზე შავ არშია შემოვლებულს შენს სახელს...

ნიშნად ჩემის უსამზღვრო მწუხარებისა მოგიძღვნი ცრემლთა კონას. ეს ჩემი ცრემლები დღესაც და შემდეგაც, ვიდრე ცოცხალვარ, ცვარად დაეფრქვევა შენს განსასვენებელს წმიდა ადგილს, საიდანაც შენი გულ-დაკოდილი მეგობარი ველარ მოისმენს შენს წყნარსა და მშვიდობიანს ხმას...

ნახვამდის! **განდეგილი.**

# ილიას ძეგლი

მოკვეთეს პირში უძრახე

**ხალხ. თქმულება**

საკვირველია სწორედ, რომ თითქმის ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს სიცოცხლე აკლია და უილაჯობის ბეჭედი აზის. ჩვენებურ საზოგადოებრივ დაწესებულებაში ვერა ჰნახავთ გამამხნევებელ შემოქმედებითს მუშაობას და რაც ასე თუ ისრე კეთდება, თითქოს ნაძალადევად, უგემურად.

ნათქვამის დასასაბუთნებლად შეგვეძლო მოგვეყვანა გრძელი სია მაგალითებისა, მაგრამ ამ ჯერად საკმარისია მკითხველს გავახსენოთ ილიას ტანჯულ ძეგლის ისტორია. ამ დიდ მნიშვნელოვან საქმისათვის თოთხმეტ-ათას მანეთამდე გაიღო ჩვენი ხალხის ხელმოკლე ნაწილმა, რომელიც მოწადინებული იყო თვისი მესვეურ-მესაიდუმლის სახსოვრად აღემართა მგოსნის სახელის შესაფერი ძეგლი. ცხადია ამ მომჭირნეობით გამოღებულ და გროშობით შეკრებილ თანხას დიდის დამზოგველობით უნდოდა მოხმარება. მაგრამ ჯერ ერთი აგერ ხუთიოდე წელიწადია, რაც ეს თანხა უკვე შეგროვდა და თვით საქმე კი მიიზლაზნება უგემურად. წვლილის გამღებნი დიდის ინტერესით მოელოდნენ და მოელიან: აი დღეს, აი ხვალ გვეუწყება სანატრელი ხმა ილიას ძეგლის კურთხევისაო, მაგრამ მგონი ჯერ ბევრი გადაჰყვეს ამ მოლოდინს.

სხვაგან, ასეთ დიდმნიშვნელოვან, ეროვნულ საქმის განსახორციელებლად შემუშავდებოდა განსაზღვრულ იდეით გეგმა და ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად გამოცხადდებოდა შეჯიბრება—კონკურსი. ჩვენ კი ამ დიდი საქმის მოგვარებაც შინაურულად განვიზრახეთ და ამასთანავე მოვიწადინეთ უადგილო პატრიოტიზმის გამოჩენა, რომ ძეგლი უექველად გაეკეთებინა და დაედგათ ქართველებსავე. რა თქმა უნდა ქების მეტი არაფერი ეთქმოდათ ამ საქმის მეთაურთ, რომ ჩვენ შორის გვყოლოდა ღირსეულნი წარმომადგენელნი ხელოვნებისა.

მაგრამ უნდა შეურიგდეთ, რომ ჯერ-ჯერობით არა გვყავან ესეთები. განა დაგვეძრახებოდა, რომ ჩვენ მიერ გარკვეულად მიცემული იდეა ძეგლისა, უფრო იაფათ და ჯეროვანის ხელოვნებით განეხორციელებინა თუნდა უცხო ერის წარმომადგენელს.

ამ დაუდევრობით, საზოგადო საქმისადმი, შინაურულად მოპყრობით აიხსნება, რომ ჯერ ერთ ხანად გაღებულმა ხარჯმა ძეგლის კვარცხლბეკის ასაგებად ფუქსავატად ჩაიარა, ვინაიდან, როგორც მკისხველმა უწყის შემამოწმებელ კომისიის დადგენილებით, იგი უნდა დაინგრეს და ხელმეორედ აშენდეს. ახლა არ იკითხავთ თვით ქანდაკების (მწუხარე დედაკაცის) ღირსებას რაიც უნდა აღიმართოს აღნიშნულ კვარცხლბეკზე, რაზედაც დაიხარჯა ექვსას თუმანზე მეტი?!

ნუ ვიცით საქმის მიფუჩეჩება და სიმართლე პირში ვსთქვათ, რაც გინდ მწარე იყოს იგი. არა გვგონია, რომ აღნიშნულ ქანდაკების ღირსებამ დააკმაყოფილოს მცირე რიცხვიც არის მნახველისა. შემთხვევა გვქონდა, ამ დღეებში, ხელმეორედ დაგვეთვალიერებინა ეს ტანჯული ქანდაკება, რომელიც კარგა ხანია ამოჰფარებია ქვედა სართულს ქართულ გიმნაზიისას და გამოტეხით ვამბობთ: ამ ჩვენივე კაცისაგან დამზადებულ ქანდაკებამ ვერაფერი უთხრა ჩვენ გრძნობა-გონებას. შეიძლება ჩვენ, ამ ქანდაკების მნახველთ, იმოდენად არა გვქონდეს განვითარებული გემოვნება-შემეცნება ამ დარგში, მაგრამ, რატომ მოხდა, როცა ამავე გემოვნებით ჩვენ ვათვალიერებდით ამას წინად პეტერბურგში, მაგალითად როდენის მადლიან ხელით ჩამოსხმულ ქანდაკებებსა და თვალი ველარ მოგვეშორებინა, იმდენად ცოცხლად და ზედ-მიწევნით იყო განხორციელებული არამც თუ ყოველივე ნაკვთი ადამიანისა, არამედ სულიერი მოძრაობაც—სახეში აღბეჭდილი, ეს ესრეც უნდა იყოს:—ყოველი ხელოვნება ცხოვრებისათვისაა საჭირო, იგი მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს უბრალო მომაკვდავისთვისაც კი.

ილიას ძეგლის ღირსეულად დამთავრება დიდი ეროვნული საქმეა და, ჯერ ვიდრე არც ისრე გვიან არის, დიდი ყურადღებას და პასუხის მგებლობას მოითხოვს ამ საქმის ხელმძღვანელთაგან.

**გ. ახალციხელი.**

# შეტაკება კათოლიკეთა ეკლესიაში

ქ. ვილნოში პოლონელებსა და ლიტველებს შორის დიდი აურზაურია ატეხილი ენის თაობაზე. რადუნის კათოლიკეთა ეკლესიაში, როდესაც ლიტვურად ჰქადაგობდნენ, პოლონელების ჯგუფი ერთი ამბით გაექანა ამბიონისაკენ და მორთო ყვირილი: „საჭირო არ არის ლიტვურ ენაზე ქადაგება!“

კსიენძმა ლიტვურად ქადაგობა შესწყვიტა და პოლონურად დაიწყო. ლოცვის გათავსების შემდეგ ლიტველებმა დაიწყეს გალობა ლიტვურად. პოლონელებმა მოისურვეს ხელის შეშლა და მათაც გალობა დაიწყეს. ლიტველები მაინც განაგრძობდნენ.

მაშინ პოლონელები ყვირილით დაერივნენ ლიტველებს ჯოხებითა და მუშტებით დაუწყეს ცემა, თანაც ლიტველების ლოცვნებს ჰხევდენ.

ძლიერ დიდი ჩხუბი მოხდა. რამდენიმე დასისხლიანებული ტანისამოს შემოფხრეწილი ქალი, გონება დაკარგული გამოიყვანეს ეკლესიიდან.

ბევრია დაჭრილი. ეკლესიის იატაკი სისხლით არის მოსვრილი.

საქმე ბრალმდებელს გადაეცა.

(უ. რ.)

# კოოპერაციის გარშემო.

ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციამ გამოსცა მომხმარებელი საზოგადოების წესდების პროექტი გუბერნატორისთვის წარსადგენად. წესდებას თან ახლავს ქართულს ენაზე დაწერილი დაწვრილებითი დარიგება ცარიელი ადგილების შესავსებად და აგრეთვე წერილი „მომხმარებლების საყურადღებოდ“, სადაც დაწვრილებით არის განმარტება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ დამაარსებლები პირველ ხანებში. ამ წესდების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის მხოლოდ ერთ ფურცელზეა მოთავსებული და სჭირდება მხოლოდ ერთი 15 შაურიანი მარკის დაკვრა, მაშინ როდესაც საწერ მაშინაზე გადაბეჭდილ პროექტს მარკა სჭირდება, ხოლო სხვების გამოცემა მოთავსებულია ორ ფურცელზე და სჭირდება ორ-ორი მარკა, გუბერნატორს უნდა წარედგინოს ორი პროექტი, მაშასადამე პირველ შემთხვევაში თხოვნიანად საჭიროა 9 მანეთის მარკა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი—4 მ. 50 კ., „კოოპერაციის“ რედაქციის გამოცემულ პროექტისთვის კი საჭიროა მხოლოდ 3 მან., გარდა დასახელებულ დარიგებისა და დამაარსებლების საყურადღებო წერილისა პროექტთან ერთად მსურველები ღებულობენ პლაკატს **„კოოპერაციის განვითარება“**, სადაც ცოცხლადაა გამოხატული კოოპერაციის საოცარი ზრდა—განვითარება და მრავალი ცნობა დამაარსებელთა და წევრთათვის საჭირო მასალებს. დარიგებაში მოთავსებულია აგრეთვე თხოვნის ნიმუში და სხვ. ღირს 1 მ. 50 კ.

მისამართი: ქუთაისი, ჟურ. „კოოპერაციისა“ და „შრომის კავშირის“ რედაქციას.

# სოფლად

(წერილი გურიიდან.

**აგარაკი ჯუმათი.**

აგარაკი ჯუმათი მდებარეობს ჯუმათის საზოგადოებაში და ექიმთა მიერ მოწონებულია როგორც სალის ჰაერით და ბუნებით, ისე თავისის სიმაღლით და ადგილ-მდებარეობით. მოაგარაკეთა უმრავლესობას ჩვენი სოფლის ღარიბ-ღატაკთა შვილები შეადგენენ. შარშან ამათი რიცხვი 100-ღე იყო, წელს 150-მდე იქნება. ჩვენდა სამწუხაროდ ჯუმათი მოკლებულია როგორც ბინას, ისე სასმელ-საჭმელს, რის გამოც მოაგარაკენი დიდ გაჭირვებას განიცდიან. ადამიანი, როგორც ვიცით, მარტო ჰაერით არ სცხოვრობს; სალ ჰავასთან ერთად საჭიროა აგრეთვე საზრდო და ბინა, რომელსაც ჰაერთან ერთად უპირველესი ადგილი უჭირავს ადამიანის სიცოცხლისა ჯანმრთელობისათვის. რა საზრდო უნდა დაუძახოთ, მაგ. ძველ ყველსა და ცომ-პურს, რომლითაც აქაური მცხოვრებლები იკვებებიან (თუმცა ამასაც ვერ იპოვით საკმაოდ). ასეთი საზრდო უფრო მავნებელია ადამიანისათვის და მით უმეტეს ავადმყოფთათვის, რომლითაც სავსეა ეს ადგილი. ბინის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია. ჯერ ერთი რომ სახლები ძლიერ ცოტაა, და მეორეც—მოკლებულია ყოველსავე ჰიგიენას. სახურავი დამპალ-დაობებული, კედლები სველი და ნესტიანი, იატაკი დანგრეულ-დარღვეული. ფასი კი 20—30 მანეთამდე. აქაური მკვიდრი მცხოვრებნი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ასეთ მდგომარეობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ საზოგადოების მცხოვრებლებს სავაჭრო ინტერესები მაინც უნდა ამოძრავებდეს და სცდილობდნენ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომლის საჭიროება არსებობს. ყველაფერი ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ არ არის გაღვიძებული ინტერესი ვაჭრობისა, აღებ-მიცემობისა და მეურნეობისა, რომელიც საუკეთესო თავმდებია ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებისა და აყვავებისათვის.

II

**ინტელიგენცია.**

აქაურ ინტელიგენციაზე ხომ ლაპარაკიც მეტია; სოფლის ინტელიგენცია, როგორც მოგეხსენებათ, შესდგება სოფლის მასწავლებელთა და სამღვდელოებისაგან. პირველი არავითარ ხელმძღვანელობითი როლს არ თამაშობს ხალხის გაუვითცნობიერების საქმეში. მართალია, მეტად რთულ პირობებში უხდებათ მასწავლებლებს მუშაობა, მეტად ძნელია მათი მოვალეობა, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ მათ არსებულ პირობებში არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. სოფლის მასწავლებლებს ადვილად შეუძლიანთ ხალხში აღძრან წყურვილი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების გახსნისა, ნაცვლად ახლანდელ პროგიმნაზიებისა, რომელთაც გაცილებით მეტი სარგებლობა შეუძლიან ხალხისათვის. ჩვენი ქვეყანა მეურნეობის მხრივ დაქვეითებულია, მათი სამეურნეო იარაღი ძველებურ მამა-პაპურ კავ-სახნის ვერ გასცილებია, მაშინ, როდესაც ნიადაგი ძლიერ გამოფიტულია და გაუმჯობესებულ იარაღსა თხოულობს.

რაც შეეხება სამღვდელოებას, ვერც მათ მოქმედებაში ვხედავთ მაინცა და მაინც ბევრს სანუგეშოს. არა მგონია რომ თუ სხვა რომელსამე წოდებაში ადგილი ჰქონდეს ისეთ ინტრიგებს, როგორც ამას აქაურ სამღვდელოებაში. (რასაკვირველია, მათში მოიპოვებიან პატიოსანი პირებიც, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ მცირეა) ვხედავთ და ეს იმ დროს, როდესაც ამდენი უბედურება თავს დაგვატყდა და სარწმუნოებრივი სიკვდილი მოგველის. შურის ძიება, ურთი-ერთისადმი სიძულვილი, საკუთარ კარიერის გაძლიერება სხვათა დასამარცხებლად—აი ნიშანდობლივი, დამახასიათებელი თვისება მათი. ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედება კი ზემოაღნიშნულ ფარგალს არა სცილდება. იმედია, ჩვენი წინამძღვრები შეიგნებენ თავიანთ მოვალეობას ხალხის წინაშე და მათ საკეთილდღეოდ იმოქმედებენ.

დაგვრჩა კიდევ ინტელიგენციის მესამე ნაწილი—მოზარდი ახალგაზრდობა. გურია, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით განთქმულია სკოლებისა თუ სხვა საკულტურო დაწესებულებათა გახსნაში. აქედან ლოღიკურად თითქოს გამოდის, რომ პირველის გამრავლების შედეგი მეორის (ინტელიგენციის) გაძლიერება იყოს; მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ბევრი გვყავდეს, არამედ თუ რამდენად ნაყოფიერია მათი შრომა და რამდენად ეთანხმება მათი მოქმედება ხალხის განათლების საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ აქაც დიდ უნუგეშობას ვხედავთ. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა კარტ-ნარდის თამაშში უფროა დახელოვნებული, ვიდრე ხალხის სამსახურისათვის. საბრალო ქართული ენა ხომ მუდამ დევნილია ამათგან. ვერ იპოვით ვერც ერთ „მოინტელიგენტე“ ვაჟსა თუ ქალს, რომ რუსულად არ ტიკტიკებდნენ. ვთხოვთ ამ „მოპარუსკე“ ქალ-ვაჟთ, რომ შეიბრალონ ქართული ენა და თუ ხალხის ინტერესებისათვის არაფერს ზრუნავენ, ერთმანეთისადმი ტრფობა-არშიყობა მაინც გამოჰხატონ ქართულის ლაპარაკით.

**ქ. კ—ძე.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. მარტყოფი** (გარე-კახეთი). 20 ივლისს ადგილობრივ ინტელიგენციის მიერ აქ გაიმართა სახელოვანი მგოსნის **ილიას საღამო.** საღამო შესდგებოდა წარმოდგენისაგან, რომელშიაც მსახ. შ. საფაროვიც იღებდა მონაწილეობას, და საკონცერტო-სალიტერატურო განყოფილებისაგან. წარმოდგენილ იქმნა ვოდევ. „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ილიას სცენები: „გლახა ჰქრიაშვილი“ და „დედა და შვილი“. თუმცა პიესა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ შინაარსით ძალიან სუსტია და ამას გარდა არც შეეფერება ილიას საღამოს, მაგრამ ჩვენი სცენის-მოყვარეთა ხელოვნურად შესრულებამ ცოტათი გამოაკეთა საქმე. განსაკუთრებით კარგი იყო სომხის კომიკურ როლში მსახ. შ. საფაროვი, რომელმაც დამსწრენი ბევრი აცინა. კარგად ჩაიარა აგრეთვე „გლახა ჰქრიაშვილმა“ და „დედა და შვილმა“ უკანასკნელმა კი უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. სასიამოვნოდ ისმოდა კულისებიდან ქართველ ჯარის მწყობრი სიმღერა. ბევრს დამსწრეს ცრემლი მოადგა თვალზე. საღამოს უკანასკნელ განყოფილებაში ადგილობრივ ქალ-ვაჟთაგან შემდგარმა გუნდმა გამოცდილი ლოტბარის ხელმძღვანელობით საუცხოოდ შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. ამასთანავე აქაურმა სამინისტრო სკოლის პატარა მოწაფეებმა მშვენივრად წაიკითხეს ილიას ლექსები.

იმედია, ილიას საღამოს, გამართვა ჩვენ სოფელში ყოველ წლიურ ჩვეულებად გადაიქცევა. სასურველია კი, რომ უფრო მრავალფეროვანად და შინაარსიანად მოეწყოს ხოლმე იგი.

**ვინმე**

# წერილი საზღვარგარეთიდან

**ოსმალეთის ვითარების გამო.**

მთელი ქვეყნ-ერების ყურადღება ამჟამად ოსმალეთისაკენ არის მიპყრობილი: იტალიასთან ომი, შინაური მღელვარება, სტამბოლის ქაოტიური მდგომარეობა და მასთან ერთად ალბანეთის მიერ დანთებული ამბოხების კოცონი—აი ის სანახაობის პროგრამა, რომლისაგანაც შესდგება ოსმალეთის პოლიტიკური ვითარების საშინელი ტრაგედია, რომლისაკენაც გულის ფანცქალით და ცნობის მოყვარეობით თვალი მიუპყრიათ ყველა ქვეყნის ავანტიურისტ დიპლომატებს, საპოლიტიკო ასპარეზის შარლატან მებაირახტრეთ თუ მდაბიო მოქალაქეთ, რომელთაც ღრიანცელის მეტი არა ატკბობთ რა. ეს გუშინ იყო, რომ დარდანელში პირველად დაიგრიალა იტალიანელთა ყუმბარამ და გაიძვერა ევროპამაც ტაში შემოჰკრა სიხარულით! ეს გუშინ იყო, რომ სამინისტრო შესდგა, გუშინ დაიწყეს ახლად ნაშობი კონსტიტუციის არტახებშივე ჩაკვლა... გუშინ, დიახ, გუშინვე იწყეს ახალგაზრდა ოსმალთა დევნა, ახდენენ შეთქმულებას ახალგაზრდა მამულიშვილ ჯავიდ ბეის, თალაათ ბეის, რაჰმი ბეის თუ კორასსოს წინააღმდეგ, ჰსურთ ძველ რეჟიმის აპოთეოზი აბდულ ჰამიდი კვლავ სალონიკის კედლებიდან გამოიყვანონ, ვითარცა ტყუილად გაწამებული მამა, რომელიც „მთელს ოცდაათის წლის განმავლობაში კეთილად განაგებდა ოსმალთა ბედს“. ომი და ცეცხლი შიგნით, ომი და ცეცხლი გარედ, აი რა განსცდის კარის ბჭის წინ წარსდგა ახალგაზრდა ოსმალეთი! მისი განწირული სულის კვეთება თუნდ იმაში გამოიხატა, რომ უკანასკნელ გაბრძოლების დროს იძულებული გახდა დაეძახნა თანამემამულეთათვის: აღსრულდა, ძმებო, ჩვენს ჩხუბის დროს „ჰანიბალი რომს მოსდგომია!“

„ჰანიბალი რომს მოსდგომია!“ აი, მართლაც, ის საშინელი ფრაზა, რომელიც ასე კარგად ახასიათებს ოსმალეთის მდგომარეობას!

ძნელია წინდაწინვე რაიმეს გარდაწყვეტით თქმა, თუ რით გათავდება ყველა ეს. ერთად ერთი ხსნა, ჩვენის აზრით, ოსმალთა გაერთიანებაშია! თუ რომ ყველა გულწრფელი მოტრფიალე ახალ კონსტიტუციისა დროზე შეერთდნენ, თუ რომ ისინი მოახერხებენ **ალბანელთა დაკმაყოფილებას** და კანონიერ თამასუქს მისცემენ, რომ იმპერიის საკეთილდღეოდ ყველგან და ყოველთვის თანასწორნი იქნებიან, როგორც ერთი ნაციის გულწრფელი მამულიშვილნი, მაშინ შესაძლებელია ოსმალეთი განსაცდელს ასცდეს! დრო არის მიხვდეს იგი ევროპის გაიძვერა პოლიტიკას, რომლითაც ოტომანთა იმპერიის და ასიმილიაციის მოხდენა ჰსურთ. იტალია მხოლოდ წინ გამომხტარი ტიკინია, რომელიც ევროპის სტვირსა და ქამანჩაზე თამაშობს. გაერთიანებულმა ძალამ უნდა დაანახოს ყველას თავის სიცოცხლის დამამტკიცებელი თამასუქები! მხოლოდ საერთო ძალა გამოიხსნის ახალგაზრდა ოსმალთ ამ კრიზისის ქარ-ცეცხლისაგან, მან უნდა დაანახოს ყველას, რომ კონსტიტუციის დაცვაში შესწევთ უნარი და ძალაცა, როგორც შეჰფერით განწირულს მამულიშვილებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რომ არ შესწყდა ულმობელი კონფლიქტი ახალგაზრდა ოსმალთა და ზომიერ კონსტიტუციონალისტების შუა, მაშინ მთელი ეს ქვეყანა კონტრრევოლიუციის ბურუსში გაეხვევა, რა თქმა უნდა, ცალკე იტალიელთა ბაჯღალოთი და ცალკე ოსმალთა ასეთ კრიტიკულ მდგომარეობით წაქეზებული ალბანელნიც დროს შეირჩევენ და არ შესწყვეტენ. ამბოხების დროშის გაშლასა. უკვე ნიშნები მოსჩანს, როგორც ვსთქვით, რომ სალონიკის ტყვე გაჩერდილებული აბდულ-ჰამიდი ისევ ძველს ტახტზე დააბრძანონ. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ხელ ახლად გამეფდეს უწესოება და უზომო სისხლის ღვრა, ეს იმას ნიშნავს, სატრაპიულ განგაშზე დაჰკრან, კვლავ გაიმართოს ყაჩაღობა და მარჯვნივ და მარცხნივ ალბანელთა თუ ბერძენ-ბულგართა ხოცვა-ჟლეტვას არ ჰქონდეს საზღვარი.

თვით ალბანეთი, რომელიც დღეს ავტონომიას მოითხოვს, სცდება სასტიკად. იგი დიდი ხანია რაც ევროპის ბაჯღალოთი დაბრმავდა, მისი ხელის საგოგმანებელი ვაშლი გახდა, რომ ახალგაზრდა ოსმალთათვის შეეშალათ ხელი დაუდეგბისა და გონების მოსვლაში. და მართლაც, რა სარგებლობას მისცემს ალბანეთს ავტონომია, როდესაც ოსმალეთის მეტოქე სახელმწიფონი მზად არ ან ჩანთქან არა თუ ის, არამედ მთელი ოტომანთა იმპერია, რომლის არსებობაც თვალს ასე არხეინად სჭრის ევროპას? ცალკე იტალია, ცალკე კიდევ ავსტრო-ჰუნგრეთი არ დააყოვნებენ მათს ჩასანსვლას და ამით ხელსაც შეუწყობენ არა თუ მარტო ოსმალთა კონსტიტუციის დარღვევას, არამედ მთელი ევროპასა და ნახევარ აზიის რუკაზე აჯანყებათა და სისხლის ღვრის ალამის გაშლას, რასაც შესაძლებელია, კვლავ ჯვაროსნობის ომიც მოჰყვეს. აი ამიტომ არის ეხლა უფრო საჭირო გაერთიანება და განმტკიცება ერთ ძალად, ვიდრე როდისმე.

ოსმალეთის შინაური არეულობა, როგორც ვხედავთ, მეტად უკიდურესობამდის მივიდა. ოსმალეთის ფეხზე დადგომა და პრესის გამკაცრება აშკარა მაუწყებელია, რომ ახალგაზრდა ოსმალნი და მათი მოქიშპენი უკვე ჰგრძნობენ კონფლიქტის სავალალო შედეგებს. ორივეს ფრიად აშინებს პასუხისმგებლობის წინაშე წარდგომა.

რას სჩადის ამ დროს სომხობა, ის სომხობა, რომელიც მუდამ პროგრესისა და ახალ აზრების მებაირახტრედ აცხადებს თავს“.

აი, ეხლა უნდა გამოიჩინოს ბიჭობა, გამოიჩინოს უნარი ტახტის დაქცევისა და კეთილ-გონიერების. თუ მართლა იგი მოწინავე ხალხია, როგორც ამით ყურს უჭედავენ ევროპას, თუ მართლა მათ პროგრესისა რაიმე სცხიათ, უექველია, ახალგაზრდა ოსმალთ ხელს შეუწყობენ, როგორც საკუთარ მდგომარეობის დამცველ ახალგაზრდა მთავრობას! ახსოვდეთ მარად, რო უქმად არ მოიხვეჭების სახელი, რომ უნდა გაამართლონ ელიზე რეკლიუსა და მრავალ მეცნიერთა მიერ მათ შესახებ გამოთქმული ქათინაურები, რომ ყველაზე მოწინავე ხალხი მარტო სომხობაა აზიაში. ჩვენ ამ ჟამად ანგარიშს არ ვუწევთ ამ დებულებას, ხოლო დრო არის გაამართლონ საქმით და არა სიტყვით! რაც შეეხება იმ ბნელ ერებს, რომელთა შორის ოსმალეთიც [illegible] ამ ჟამად ამ [illegible] არ იღებენ მონაწილეობას, მხოლოდ ვიცით, რომ ერთად ერთი ოსმალეთი მართლა სიბნელიდან გამოკიდა და ახალს ცხოვრების გზას დაადგა. მაშ, დრო არის ეს პროგრესის მებაირახტრენიც გვერდს ამოუდგნენ ახალგაზრდათ!

ამ ნაირად, ხსნის იმედი კიდევ არის: თუ ოსმალეთმა მოახერხა კონსტიტუციონალურ პარტიათა გაერთიანება, ყველა ეთნიურ ჯგუფების შემოკრება, ალბანელთა ლიბერალური რეფორმებით დაკმაყოფილება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოსმალეთი გადიტანს ამ ბნელს მდგომარეობის კრიზისს, ეს იქნება მათი კეთილშობილური აღთქმა და დიადი თავდები, რომ მუსულმანთა სამეფოს მომავალი ექნება! წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ აღსრულდა: ევროპას გულის წადილი აუცხადდა და დღეს თუ ხვალ ოტომანთა იმპერიის ნამსხვრევებზე დიდიხნის გულთათქმის დროშას ააფრიალებს იგი ასსიმილიაციის სახელით! მაშ, დროზე გაერთიანება—აი უმთავრესი ხსნა ოსმალეთისა, თუ არა და მართლაც „ჰანიბალი რომს მოსდგომია!“

ბრიუსელი **დ. კასრაძე.**

# პატარა ფელეტონი

## ივანე

**ვლადიმ. აზოვისა.**

— აბა, რა უნდა ქნას კაცმა,— სთქვა პოლიციელმა,—უწინ ასე იყო: აქვს სამოვარი—აუწერ, ხბო ჰყავს—აუწერ. ახლა კი, აბა, ერთი უყურე, —უნდა აიწეროს ის ნივთები, რაც მეტია ოჯახში... შენ, ჰეი, ჰრელო ეშმაკო,—შესცვალა უცებ პოლიციელმა ფილოსოფოსური მსჯელობა ადმინისტრატიულ ბძანებით: — სთქვი როცა გეკითხებიან: რა გაქვს ოჯახში მეტი?

„ჰრელმა ეშმაკმა“! იმავე გლეხმა ივანე სნეულმა თავი გააქნია, მხრები აიჩეჩა, ხელები გაასავსავა და როცა ყველა ეს გლეხური ჩვეულება მოიხადა, შემდეგ ამნაირი საცოდავი სიტყვები გამოღეჰა:

— რაღაა ჩვენი ცხოვრება? ჩვენი საქმე, უნდა მოგახსენო, წასულია... ერთი სიტყვით: იმ ზომამდე მივედით, რომ ხელის...

პოლიციელმა ზიზღით შეხედა გლეხს.

— ვხედავ, რომ თავი გქონია ზედმეტი მხრებზე! რამდენი ცხვარი გყავს, ივანე, რამდენი?

— ერთი, მამავ და შვ—ო... ერთად ერთი, ასე ვსთქვათ, როგორც ძაღლიაო.

— ეგება მეტია ეგ ცხვარი, ჰა? აბა რა ეშმაკად გინდა ცხვარი? წმინდა ბეწვიან ცხვრის ფარის მოშენებას ხომ არ აპირობ?

— ნება თქვენია, მხოლოდ ცხვარი ერთი გახლავს.

— უჰ, მხეცი! იქნება ცხენი გყავს მეტი; არა გჭირდება?

— სჩანს მეტია, როცა საკვები არ გამაჩნია მისთვის.

— ამოსაწყვეტი ხართ ყველანი, ამოსაწყვეტი... მოდი ეხლა და გაიგე, რა გაქვს მეტი და რა არა ოჯახში. ბეღელი მაჩვენე!

— რისთვის ირჯები? შემოდგომას აქეთ, ბეღლის კარი არ დამიკეტია: ერთი ცული გდია შიგ, სხვა არაფერი; მთელი ჩემი ავლა-დიდება ეს არის.

— ტანისამოსი ხომ არ გაქვს მეტი?

— როგორ არა: სულ მთლად მეტია.

პოლიციელმა უიმედოდ მიიხედმოიხედა. ივანეს ქოხის მოწყობილობა უკიდურეს ცარიელობას წარმოადგენდა. ლურსმანზე ეკიდა ცხენის დაგლეჯილი საოფლე, თაროზე იდგა ორი თიხის ფინჯანი: ერთი ყურ-მომტვრეული, მეორე გაბზარული; იმათ თავმჯდომარეობდა გვერდებ-შეჭყლეტილი სამოვარი. იქავე მდგარი თუნუქის ორი კოლოფი ასრულებდა და ამშვენებდა ივანე სნეულის ავეჯეულობას.

— მე ძმაო, სამოვარს ავიწერ. სამოვარი შენთვის მეტია!

— მართალი ბძანებაა, მეტია! სწორედ შობას აქეთია ჩაი აღარ დაგვილევია; ჩაის ფერიც კი დაგვავიწყდა.

— სამაგიეროდ არაყს ხომ ჩინებულად ხუხავ?

— არაყს არა ვსვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, ტარტაროზო! აბა მაჩვენე რა გაქვს მეტი ოჯახში! რაო, მართლა სამასხროდ მოვსულვარ შენთან, თუ გადასახადისათვის. ღმერთს გეფიცები ძროხას აგიწერ, აი!

— ასწერე! მე რა? თუ გინდა ქალამნებიც ამიწერე! სულ ერთია ვერსად გაგექცევი.

— შეუშვი მაგ შენს უტვინო თავში: უფროსი ხომ პასუხს მომთხოვს. არ ასწერ—რატომ არ ასწერეო? ასწერ, და როგორ გაბედე ოჯახში საჭირო ნივთების აწერაო? შენ თვითონ მაჩვენე, მიმითითე.

— აბა, რაზე უნდა მიგითითო? თვითონ ჰხედავ: აი იქ ფეჩზე ჯამი მეტია და თვითონ ფეჩიც კი მეტია, როგორც მახსოვს შობის აქეთია აღარ აგვინთია.

— ფარდული მაჩვენე!

ფარდულში გლეხს აყირავებული ურემი ედგა.

— აბა, რა საჭიროა შენთვის ურემი: ახლა ხომ ზამთარია.

— რასაკვირველია, არაა საჭირო. გაზაფხულამდის ვერც კი მიაღწევს ჩემი ცხენი

— ავსწერ, მაგრამ ვიცი მიჩივლებ... ეს რაა აყუდებული კუთხეში?

— ეს ისე...

— სთქვი, როცა გეკითხებიან, ოხერო: რა არის?

— კუბოა. ჩემმა დედაბერმა მოიმზადა.

პოლიციელს გაეხარდა.

— მადლობა შენდა, უფალო, ძლივს არ ვიპოვნე მეტი ნივთი! ვსწერ: ფიჭვის კუბო ორ მანეთად ღირებული. ჰოი, რა კრიჟანგი და ეშმაკი ყოფილხარ: რატომ აქამდის არ მითხარი, რომ კუბო გაქვს, ა?

— საჭირო რომაა; დედაბერმა მოიმზადა.

— არა უშავს-რა, ძმაო. დედაბერი დაიცდის; ნუ მოკვდება. მაშ ვსწერ.

პოლიციელი ჩაცუცქდა, ტუჩები ისე ამოძრავა, თითქო კალამს ბაძავსო, და ოქმის შედგენას შეუდგა.

(თარგმანი)

**ნინო ნაკაშიძისა.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

2 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**მანიფესტაცია**

**სოფია.** ყაჩანიკში მომხდარ ამბის გამო 30 ათასმა კაცმა მანიფესტაცია მოახდინა. ეკლესიებში ზარის რეკა რომ დაიწყეს, უმთავრეს ქუჩებზე ხალხი შეგროვდა. მაღაზიები დაკეტილი იყო. სახლებზე შავი დროშა ფრიალებდა. მანიფესტაციის შემდეგ გაიმართა კრება. ილაპარაკეს ყველა პარტიათა წარმომადგენლებმა და აღნიშნეს უბედური მდგომარეობა მაკედონელებისა, რომელთაც ოსმალნი სისტემატიურად ჰხოცვენო. დაადგინეს, მთავრობას ძალა დაატანონ და ხალხის საშუალებით გადაიგდონ ოსმალეთის უღელი. ისმოდა ძახილი: „ომი, ომია საჭირო! წაგვიყვანე ადრიანოპოლის დასაპყრობლად! მეფევ, მაკედონიისაკენ წაგვიყვანეო!"

**იუკიჩის საქმე**

**ბელგრადი.** იუკიჩის განაჩენის გამო, პრესა ამბობს: სლავიანებთან საბრძოლველად ავსტრია სრულიად არაფერს დაჰრიდებია, მაგრამ მაინც ვერ აღმოფხვრის მათ გულში პროგრესისაკენ მისწრაფებასაო.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** კაბინეთში უთანხმოება ჩამოვარდა, რადგან ზოგიერთი მომხრეა კომიტეტთან შეთანხმებისა, ზოგიერთი კი სასტიკად ეწინააღმდეგება ამასა. შეიძლება კრიზისი დაიწყოს და დიდი ვეზირობა ქიამილფაშას მისცენ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ზიაფაშა სამსახურიდან გადადგა.

დააპატიმრეს ბულგარი, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებენ.

ვაკუფების მინისტრს მიანდეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმე.

**კუს მიკრობი**

**პარიზი.** ექიმს გასტონ ოდენს აღმოუჩენია კუს მიკრობი. თავის აღმოჩენას ოდენი სპეციალისტებს გააცნობს, სამეცნიერო აკადემიაში მუშაობა რომ დაიწყება.

**ჭორი ავსტრიის შესახებ**

**ვენა.** ავსტრიის „კორესპონდენც.-ბიურო" იუწყება, ის ამბავი, ვითომ ავსტრიას ბოსნიასთან ჯარი მოეგროვებინოს ჩერნოგორიის საზღვარზე ატეხილ ამბის გამო, ტყუილიაო.

**ქალიშვილების განზრახვა**

**ზაგრები.** ათმა ქალიშვილმა, რომელსაც იუკიჩს განაჩენი გამოუცხადეს, მოინდომა მიერთმია მასთვის ყვავილები. ქალები დააპატიმრეს.

სერაევსა და სხვა ადგილებში მომხდარა დემონსტრაციები, რის დროსაც ბევრნი დაუპატიმრებიათ. მოითხოვენ დეპუტატებისაგან, როგორმე მოახერხეთ და იუკიჩის საქმე გადაასინჯვინეთო.

**ჩინეთი**

**პეკინი.** პარტიები თუნ-მინ-გუისა და თუნ-ჩი-კუნ-ქოდანისა შეერთდა, პარტიას ერქმევა სახელად გო-მინ-განი, ე. ი. დემოკრატების პარტია.

**რუსეთი**

**პუანკარე რუსეთში**

**პეტერბურგი.** საღამოს 11 საათზე პუანკარე მოსკოვს წავიდა.

**მოსკოვი.** პუანკარე გენერალ-გუბერნატორის სახლში ჩამოხტა. აქ იგი ბევრმა გამოჩენილმა პირმა ინახულა. გუბერნატორმა პირველ საათზე პუანკარეს სადილი გაუმართა. პუანკარემ მოსკოვი დაათვალიერა. სიტყვა წარმოსთქვა საუზმეზე გუბერნატორმა. პუანკარემ უპასუხა და მადლობა გადაუხადა, აღნიშნა სიყვარული და მეგობრობა საფრანგეთისა რუსეთისადმი.

# უცხოეთი

**ინგლისი და ბრიუსელის შაქრის კონვენცია.**

ამას წინად საზოგადოებათა პალატაში ვაჭრობის მინისტრმა ბესტონმა განაცხადა: 1913 წლის 1 სექტემბრიდან ინგლისი გამოვა ბრიუსელის საშაქრო კონვენციიდან, რადგანაც ინგლისის დელეგატები ვერ შეთანხმდენ რუსეთის შაქრის გაზიდვის თაობაზე. პალატის სესია ერთი დღით გაგრძელდება, რათა საშუალება მიეცეს მას ამ საკითხის განხილვისა. კონვენციიდან ინგლისის გამოსვლის მთავარი მიზეზი ისაა, რომ სინამდვილემ ვერ გაამართლა ის მოლოდინი, რომელსაც ხსენებულ კონვენციაზე ამყარებდა ინგლისის მთავრობა. ბრიუსელის საშაქრო კავშირი ინგლისის დაჟინებული მეცადინეობით დაარსდა 1902 წელს. მისი მიზანი იყო, შაქრის შემოტანის მოწესრიგებით, ინგლისის ბაზრიდან გაედევნათ ევროპის კონტინენტალური სახელმწიფოების იაფი შაქარი, რომელიც გაზიდვის პრემიების წყალობით ინგლისში უფრო იაფად იყიდებოდა, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც თვით მზადდებოდა. ამ რიგად ინგლისს უნდოდა თვისი ახალშენების, ანტილის კუნძულებისთვის საშუალება მიეცა მეტროპოლიაში თვისი შაქრის შემოტანისა და აგრეთვე კონკურენციის გაწევისა ადგილობრივ. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. თუმცა ანტილის კუნძულების შაქრის შემოტანა ინგლისში ცოტათი გაიზარდა, მაგრამ დიდი წილი კი დღესაც ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდის. აშკარად კონვენციის სარგებლიანობა ინგლისისათვის შაქრის გაძვირებაში გამოიხატა, ხოლო ახალშენების შეღავათი არც ისე თვალსაჩინო იყო. ამ მოსაზრებით ინგლისმა გადასწყვიტა კონვენციიდან გამოსვლა და ნება მისცა ევროპის სახელმწიფოებს რამდენიც მათ ჰსურთ და როგორი პირობებითაც უნდათ შემოზიდონ ინგლისში თვისი შაქარი. მიუხედავად კონვენციის დარღვევისა, მის მონაწილე სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ შაქრის გაზიდვაზე ჯილდოები დანიშნონ, როგორც უწინ იყო, სანამ კონვენციას ოფიციალურად არ გაუთავდება ვადა, ე. ი. 1918 წლამდე. შესაძლებელია კონვენციაში დარჩენილმა სახელმწიფოებმა კვლავ განაგრძნონ მისი ვადა ახალი წესდებითა და მონაწილეობით.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ ეს ფული გადასცეთ ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგეობას გესვენებულ იაკობ **გოგებაშვილის** ფონდის გასაძლიერებლად. გთხოვთ აგრეთვე შემომწირველთა სიაც დაგვიბეჭდოთ: თითო მანათი: იოსებ კურცხალიამ, ნიკოლოზ კარახანოვმა, ალექსანდრე ოვაკიმოვმა. ათ-ათი შაური: გიორგი მანჯავიძემ, სვიმონ ელიავამ, რ. ჯ. მელიტონ მუსერიძემ, გიგო ბესალოვმა, ი. რუსიაშვილმა, ი. მენთეშაშვილმა. 30 კ. სერგო ანანოვმა. ხუთ-ხუთი შაური: კ. კვირიკაძემ, ი. კანდელაკმა. თითო აბაზი: ვ. ცოპურაშვილმა, კ. დოვლათოვმა, №№, ივანოვმა, ილიკო მამულაშვილმა და ხუთი შაურიც კ. ასანაშვილმა. სულ რვა მანეთი და თერთმეტი შაური (8 მ. 55 კ.).

მონდობილობით **რაფიელ ჯიბლაძე.**

ბ-ნ რედაქტორო! 18 ივლისს, ქალ. ნახიჩევნიდან, რამდენიმე ქართველებმა დეპეშა მოვეცით თქვენს რედაქციას მგოსანი ი. ევდოშვილის შესახებ, რომელიც მოთავსებული არის თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთი"-ს № 655-ში; მხოლოდ ზოგიერთი გვარები ძლიერ დამახინჯებულად არის გამოცხადებული, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ გაასწოროთ გვარები და ისე გამოაცხადოთ. მაგალითად; გამოცხადებული არის: სამსონ მარჯნიშვილი, რომან სალარიძე და სიმონ ქიტალი.

**უნდა იყოს:** სამსონ მარჯანიშვილი, რომან საგანელიძე და სვიმონ ყიფიანი.

დავშთები პატივისცემით **სამსონ მარჯანიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარეუბ. მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. №, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარეუბ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 3 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**" ტელ. 682.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ. 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შეს. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან ჩააგდოს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71


# განცხადებანი

ალ გერ. როსტომ ვახა და ნ ნ გერ (ვან ბ ს. ორივეს საკუთრება მამულიდან იყიდება ნინ. გერს. ივანოვის წილი. მთელი მამული შეიცავს 600 ოთხკ. საჟ. დუქნებით, სარდაფით და ერთ სართულიან ფლიგელით. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. იდებარეობს ს. თიანეთში (დუშეთის მაზრა).

პირობებისთვის მიმართეთ: ტფილისი, ორბელიანის ქუჩ., № 36 ნ. გ ივანოვისას

1—583—

## დაგა სამტრედია

ახალი აგურხანა.

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს 6 X 3 X 1½ ვერშოკ. ზომიანს.

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირებ სა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**

(თ. 1368 2)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606" — 11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ავადმყოფ. ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუჯირი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი სახსრები და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვახსარდიანი.**

(წ. 1078.119)

**სახელოსნო და საწყობი**

## ძეგლებისა.

**ძმ. აგლაძეების.**

**მიხეილის პროსპ. № 48.**



ვღებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწვდომ ფასებში.

(0.—5/2—19)

— გამოსულია და იყიდება —

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა „**მეგობრობა**", დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

„**გ ა მ ც ე მ ი**"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:**

შ. არაგვისპირელი. ნაწერები წიგნ. მეოთხე ფასი . . . 50 კ.
ს. კაკაბაძე. თამარ მეფე და მისი მნიშვნ. საქართ. ისტორიაში 15 „
Е. Такайшвили. Опис. рукописей О-ва распрост. грам. ср. Груз. нас. Т. II, в. IV . . . 1 მ.
ნ. სულხანიშვილი. ქართ. საეკ. მუსიკ. „ღმერთი უფალი", 1 ხმა 35 „
მღ. მ. კელენჯერიძე. აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი . . . . . 25 „
თეორია სიტყვიერებისა, მეორე შესწორებ. გამოცემა მისივე 40 „
წმ. ნინოს ღვაწლი და მისი მნიშვნელობა ორი სიტყვა ეპისკ. ლეონიდისა და მღ. მ. კელენჯ. 5 „
დარვინიზმი, თარგ. ი. ფანცხავასი, ახალი გამოც. . . . 25 „
გრდემლი, სალიტ. კრებული 1—50 „
ბესიკი, ლექსები . . . . 1 მ.
ა. ახნაზაროვი. ლექს. და სცენ. 60 „
ა. წულაძე. ფუტკ. და მეფუტკ. 80 „
აკაკი. ჩემი ნაწერები წ. I, . 75 „
ა. ფურცელაძე. ბრძოლა საქარ. მოსასპ. და საქ. შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო . . . . . 1 მ.
И. Ростомашвил. Основное начало раз. и дешеваго земледѣлія 15 „
И. И. Р Долой болѣзни . . 20 „
ს. გორგაძე. ქართული წყობილსიტყვაობა . . . . . 30 „
თ. გ. ერისთავი. ძუნწი . . 5 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი 20 „
მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი 10 „
ტრ. რამიშვილი. ორი პიესა, შეშლილნი და კრიტიკოსთან 25 „

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел.

(წ. 1411.90).

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძეგველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

**ყურადღება!**

(წ.1131.222)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარეკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

**ხიზილალა,**

გირვანქა 1 მ. 60 კ.

## ე. ა. ცატუროვის საწყობში

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

— ფირმა არსებობს 1869 წლიდან —

იყიდება

**ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები**

„**ი გ ა**",



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლით, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვ ს. 100 და 180 სანთლის სინათლიანი „ი გ ა"-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება: 200 სანთლის სინათლიანს 25 მისხალი.

1100 „ „ 32 „

1800 „ „ 80 „

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფარნის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. სრულის თავდებობით**, რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ქარხნებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

**ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.**

**ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში**

**საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.**

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა**; შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ

(10 1393.8)

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

„**ნაკადული**"-ზე

— წელიწადი მერვე. —

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და სავანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-**

**ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აბელიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოშელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოცხელიშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—92 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოანეს ძე თუმანიშვილი.**